ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 42 (20688) — შაბათი, 17 თებერვალი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ეროვნული განვითარების კონცეფციის ძირითადი მიმართულებანი, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა II ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების ღონისძიებანი, ეკოლოგიური და დემოგრაფიული პოლიტიკის გაღრმავების პროგრამა, რესპუბლიკის საზღვაო კონცეფცია — ამ და რესპუბლიკის ეკონომიკისათვის სხვა დიდმნიშვნელოვანმა საკითხებმა ახალი განვითარება პოვა საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე.

ითავრობის დადგენილებით, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრიობის ფართო სოციალურ მოთხოვნილებებს, განსაზღვრულია ეკონომიკის გაჯანსაღების შესახებ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა II ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების პირველი რიგის ღონისძიებანი. ისინი შეიცავს ეკონომიკური სტრუქტურებისა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფას, საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესებასა და სოციალურ პრობლემათა გადაჭრას, რესპუბლიკის ეკონომიკური სუვერენიტეტის განვითარებისათვის ხელსაყრელი წანამძღვრებისა და საფუძვლების შექმნას. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს, ეკონომიკური ორგანოებს, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას მიეცათ კონკრეტული დავალებანი ღონისძიებათა შემუშავებისა და რეალიზაციისთვის. ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაციის პრობლემის მნიშვნელობის გათვალისწინებით დავალებათა ვადები დაწესებულია მიმდინარე სამეურნეო წლის ფარგლებში. ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფის პროგრამა მოიცავს სახალხო მეურნეობისა და საზოგადოების სოციალური ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანეს დარგს. პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური მუშაობის ეფექტიანობის ზრდას, რაციონალურ საინვესტიციო პოლიტიკას, აგროსამრეწველო კომპლექსისა და ვაჭრობის მუშაობის სტაბილიზაციას, ინიციატივას, გერგილიანობას, მეურნეობრიობასა და საფინანსო საქმიანობაში გონივრულ მომჭირნეობას.

დღენადაგ იზრდება სამრეწველო საწარმოებისა და ტრანსპორტის მიერ გარემოს გაჭუჭყიანების დონე, მთელი მავნე გამონაფრქვევის 69 პროცენტი მოდის გაჭუჭყიანების მოძრავ წყაროებზე, 31 პროცენტი — სახალხო-სამეურნეო ობიექტებზე. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ არადამაკმაყოფილებლად სრულდება ამ საკითხზე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 17 აპრილის დადგენილების მოთხოვნები. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ამ დადგენილებით რეკომენდებული მრავალი ღონისძიება გარემოს დაცვისათვის შრომითმა კოლექტივებმა არ შეასრულეს, ზოგიერთი განხორციელდა მხოლოდ ნაწილობრივ. პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდა გადამუშავდეს დადგენილება რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების კონცეფციაში ჩამოყალიბებული ეკოლოგიური პოლიტიკის შესაბამისად და დაკონკრეტდეს ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღების ღონისძიებანი, გაძლიერდეს ყველა იმათი პერსონალური პასუხისმგებლობა, ვინც მონაწილეობს ამ პრობლემის გადაჭრაში.

პრეზიდიუმის სხდომას ახასიათებდა მომკითხველობა, სიმწვავე ყველა საკითხის განხილვისას — თავდაცვითი მრეწველობის საწარმოთა მუშაკების შრომითი, საყოფაცხოვრებო და სანიტარიული პირობების გაუმჯობესებით დაწყებული და საზღვარგარეთის ფირმებთან ერთად ახალი ერთობლივი საწარმოების, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მაგალითად, „მწვანეთა მძრაობის“ შექმნით დამთავრებული.

განიხილეს სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და რესპუბლიკის საცხოვრებელი სექტორის სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის საკითხი. მთავრობამ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება მისცა მოამზადოს და განსახილველად წარმოადგინოს სახანძრო დაცვის ქვეგანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ამ სამსახურის პირადი შემადგენლობის უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხი, საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის თ. ა. ჭურაძის ინფორმაციას მოჰყვა ჯანმრთელობის დაცვის, განსაკუთრებით ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის, განმტკიცების და ამ სამეცნიერო დაწესებულების ბაზაზე რესპუბლიკაში დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღებისა, ბავშვთა სამედიცინო ცენტრის შექმნის და თბილისის 250-ადგილიანი მე-7 საკლინიკო საავადმყოფოს შენებლის კორპუსის ინსტიტუტისათვის გადაცემის პრობლემის საფუძვლიანი განხილვა.

რესპუბლიკის საზღვაო კონცეფცია რეალობას იძენს. ეს ითქვა სხდომაზე მისი შემმუშავებელი რესპუბლიკური საკოორდინაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების დროს.

პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ფეხბურთელთა კლუბის „გურიის“ (ლანჩხუთი) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ტელეფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზაციისა და იურუსალიმში ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მშვიდობიანი მისიის, ბათუმის ნორჩ ბიოლოგთა პირველი საკავშირო ოლიმპიადის, აგრეთვე იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავთან, კომპოზიტორ ვ. დოლიძის დაბადების 100 წლისთავთან, საქართველოს სახალხო მხატვრის ნ. კანდელაკის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო ღონისძიებების მოწყობისა და სხვა საკითხები.

(საინფორმო).

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესია

კანონებმა უნდა იმოქმედონ საერთო კეთილდღეობისათვის

წინსვლის გზის ამორჩევისას რომელი კომპასით უნდა ისარგებლოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიამ? ამის თაობაზე ცხარე კამათი იყო პარლამენტის პირველ სხდომაზე. სესიის სახელზე უკვე მოსულმა მრავალრიცხოვანმა დეპეშებმა დადასტურა: ის დეპუტატები, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ მუშაობა დაიწყონ ძირითადი, ფუნდამენტური კანონპროექტებით, სხვებზე უფრო ახლოს იყვნენ ჰეშმარიტებასთან. ამიტომაც 15 თებერვალს პალატების გაერთიანებული სხდომა საგსებით სამართლიანად დაიწყო სსრ კავშირში საკუთრების შესახებ კანონის პროექტის განხილვით. თავმჯდომარეობდა ა. ი. ლუკიანოვი.

კანონპროექტის საბოლოო დამუშავება მიმდინარეობდა მთავრობის მიერ სპეციალურად შექმნილ საბჭოში ეროვნული ეკონომიკის, ეკონომიკური ურთიერთობის, ფინანსებისა და ბანკების, ადგილობრივი თვითმართველობისა და მშრომელთა წინადადებების განმხილველ კომისიაში. დაგროვდა 10 ათასზე მეტი ასეთი შენიშვნა. ისინი განაზოგადეს. პარლამენტის ტრიბუნიდან კომისიის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ი. აბალკინმა, პროექტის საბოლოო ვარიანტს რომ მოაწესებდა, აღნიშნა: მას ახასიათებს პოზიციათა პრინციპულობა, რომელთა მიზანია საბჭოთა საზოგადოების ღრმა სოფუძვლების რადიკალური განახლება. პროექტის თანახმად, აღიარებულია მისი სულ სხვადასხვა ფორმით არსებობისა და ამავე დროს ფუნქციონირების კანონიერება მათი თანასწორუფლებიანობისა და თანაბარი დაცულობის პირობებში.

ორატორმა გამოთქვა აზრი, რომ პროექტმა თავისი ახლანდელი სახით მიაღწია გარკვეულ წონასწორობას და საკმაოდ მთლიან დოკუმენტად წარმოგვიდგება, და მოუწოდა დეპუტატებს გამოიჩინონ დარბაისლობა და სახელმწიფო სიბრძნე მეორე წაკითხვით მისი განხილვის დროს. მან აგრეთვე თქვა, რომ ნე გვეძლება ზედმეტი ილუზიები იმის მიმართ, რომ ამ კანონპროექტის მიღებისთანავე ცხოვრება დაუყოვნებლივ შეიცვლება. საკუთრების ახალი ეკონომიკური ურთიერთობის დასამკვიდრებულად საჭიროა ორათუ წლები — ათწლეულები, მაგრამ მოქმედება დღესვე უნდა დავიწყოთ, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტში პირველი წაკითხვით მთავრობის მიერ შემოტანილი კანონპროექტის განხილვის შემდეგ მასზე მუშაობდნენ მუდმივი კომიტეტები და კომისიები. მათი კოლექტიური აზრი სესიაზე ჩამოაყალიბეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა თავმჯდომარის მოადგილემ ი. ხ. კალმაკოვმა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის საკითხთა კომიტეტის წევრმა ა. ნ. ბოიკომ. მათ აღნიშნეს, რომ, ძირითადი ვარიანტის გარდა, განიხილეს კიდევ რამდენიმე ალტერნატიული, აგრეთვე „საავტორო პროექტები“, რომელთა რიცხვი, არც მეტი, არც ნაკლები, 39-ია. როგორც ორატორებმა თქვეს, ყველაფერი, რაც ამ აზრთა ნაადრი რაციონალური იყო, გამოიყენეს საფუძვლად აღებული ვარიანტის საბოლოო დამუშავების დროს. რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ მშრომელთა წინადადებანიც, რომლებიც ნაკადად მოდიოდა კანონმდებელთა მისამართით. პროექტი ხომ, როგორც ცნობილია, გამოტანილი იყო საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

ოცდაათი დეპუტატი გამოვიდა კამათში, და მხოლოდ ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ იგი კანონპროექტის წინააღმდეგ მისცემს ხმას. ეს გახლავთ დეპუტატი ლ. ი. სუხოვი. დაასაბუთა რა თავისი თვალსაზრისი, მან განაცხადა, რომ იმ პირობებში, როცა ელემენტარული წესრიგი არ არის ქვეყანაში, ასეთი კანონის მიღება შეუწყნარებელია. მაგრამ იყო სხვა მოტივიც. სანამ განსაზღვრული არ არის სახელმწიფოს ფედერაციული წყობის სტატუსი, მასში შემავალი თითოეული ფორმირების უფლებამოვალეობანი, ეს ნაადრევია. გარდა ამისა, ორატორმა საკუთრების შესახებ კანონთან დაკავშირებით წამოაყენა წინადადება გაიმართოს რეფერენდუმი, რომელსაც მხარი არ დაუჭირეს.

მთლიანად კანონს გამო დეპუტატების მიერ გამოთქმული შეფასება დადებითია. მაგრამ პრაქტიკულად დოკუმენტის ერთმნიშვნელოვანი მოწონება არ ნიშნავდა ერთსულოვნებას მის ზოგიერთ დეტალში. არსებითად, ასაბა რა, აზრთა პოლარიზაცია საზოგადოებაში, მთავარი კამათი გაიმართა კერძო საკუთრების ცნების შემოღების მიზანშეწონლობის ირგვლივ. ოპონენტთა მოსაზრებანი ახალი არ არის — მისი ცნობა ნიშნავს უარის თქმას სოციალიზმზე, ოქტომბრის მიერ უკუგდებული ადამიანის, მიერ ადამიანის ექსპლოატაციასთან დაბრუნებას. მაგრამ უმრავლესობის თვალსაზრისია იხელმძღვანელონ არა იდეოლოგიური მოსაზრებებით, არამედ იმით, როგორ დააყენონ ეკონომიკა ფეხზე უფრო სწრაფად და უფრო ეფექტიანად.

ზოგიერთმა ორატორმა გამოთქვა სერიოზული შეშფოთება, ვაითუ კანონის მიღებამ ხელ-ფეხი გაუხსნას ჩრდილოვანი ეკონომიკის საქმოსნებსო. დეპუტატმა ვ. ვ. ნოსოვმა ერთმნიშვნელოვნად გაიღაშქრა მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ, რადგან, მისი აზრით, უბრალო მშრომელებს ამისათვის არ ეყოფათ სახსრები, ხოლო დეპუტატმა ვ. ვ. სევრიუკოვმა წინადადება წამოაყენა კანონის მიღების წინ გატარდეს ფულის რეფორმა. დეპუტატმა ა. ა. კორშუნოვმა სესიის შესთავაზა რეცეპტი სოციალური გადახრებისაგან, რომელიც, მისი აზრით, გულისხმობს შესაბამის კონტროლს ყველა სახეობის საკუთრებისადმი, აგრეთვე დაბეგვრის ეფექტიან პოლიტიკას.

ბუნებრივია, კამათი არ შემოფარგლულა მხოლოდ ამ ერთი პრობლემის განხილვით. ქერძოდ, აღძრეს საკითხი, რომ საჭიროა საერთო-საკავშირო საკუთრებისა და მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ფორმირებების საკუთრების გამიჯვნა. დეპუტატმა რ. ა. უბაიდულაევამ, რომელსაც სრულიადაც არ დაუყენებია ეჭვქვეშ საკუთრების შესახებ კანონის მიღების დიდი მნიშვნელობა, აღძრა მისი შესაძლო სოციალური შედეგების პრობლემა — მას მხედველობაში ჰქონდა უმუშევრობა. უკვე ახლა უნდა ვიფიქროთ ყოველივე ამაზე.

შეეხნენ რა პროექტის სამართლებრივ შეფასებას, დეპუტატები ყურადღებას აქცევდნენ მის ისეთ „ნიშნებს“, როგორიც არის პრობლემის მრავალფეროვანი ასპექტების მოცვის კომპლექსურობა. მისი საფუძვლიანობა, რომელიც გულისხმობს კანონმდებლობის სხვა დონეებზე მთელი რიგი დებულებების გაღრმავებას. შეიტანეს წინადადება, რომ საჭიროა შემოიღონ საფასური საკუთრებისათვის, რათა გაიზარდოს მისი სუბიექტის დაინტერესება ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდით. მთელმა რიგმა დეპუტატებმა — ა. ნ. საფონოვმა, ა. ო. ალხაზოვმა, ბ. გ. ვასილიევმა, რ. ა. ალიაროვმა და სხვებმა მხარი დაუჭირეს კანონპროექტის ძირითად დებულებებს კონცეპტუალური თვალსაზრისით, ამასთან, გამოთქვეს პრინციპული მოსაზრებანი კერძო საკუთრების, მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების საკუთრების ცნებებთან დაკავშირებით. დამახასიათებელი იყო ასეთი კითხვა: ხელს შეუწყობს თუ არა კანონი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას? პასუხი არაერთმნიშვნელოვანი იყო.

იმასთან დაკავშირებით, რომ სრულდება ერთი წელიწადი მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა საბჭოთა ჯარისკაცმა დატოვა ავღანეთის მიწა-წყალი, დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს თავიანთი მხედრული მოვალეობის შესრულებისას დაღუპული საბჭოთა ჰეროკების ხსოვნას. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ი. ციხუბამ წინადადება წამოაყენა 15 თებერვალი გამოცხადდეს ხსოვნის საყოველთაო-სახალხო დღედ. ეს ინიციატივა განსახილველად გადაეცა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მთელ რიგ კომიტეტებს. მან აგრეთვე მოიწოდა ახალგაზრდებს, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნებათშორის კონფლიქტებში, შეჩერდნენ, ნუ ავიწყდებთ, რომ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისათვის მიუღებელია ეროვნული შუღლი.

სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის თავმჯდომარედ ხ. ხ. ალექსეევის არჩევასთან დაკავშირებით სესიამ გაათავისუფლა იგი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ი. ხ. კალმაკოვი.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის, მოვალეობის შემსრულებელი ა. ხ. ხახობოვი. არჩეულია ამ კომიტეტის თავმჯდომარედ.

სესია განაგრძობს მუშაობას.

რეპორტაჟს უძღვებოდნენ საკავშირო საპარლამენტო კორესპონდენტები

ა. ალიოხინი,
ა. ძიუბლო,
ი. ნოვიკოვი,
ვ. ორლოვი.

სახალხო მეურნეობა: იანვრის შედეგები

წინსვლა ჯერ არ იგრძნობა

ითის იმედი, რომ მიმდინარე წლის დამდეგიდან ჩვენს ეკონომიკაში და კერძოდ მრეწველობაში ვარკვეული წინსვლა დაიწყებოდა, ჯერჯერობით არ მართლდება. პირიქით, საერთო მდგომარეობა, საწარმოებიდან, უფრო დაიძაბა, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შესამჩნევად გაუარესდა, კაბშირდა სამეურნეოებში დისციპლინის დარღვევის და ნარჩენების მოცულობის შემცირების შემთხვევები.

ანვარში გაფიცვებში მონაწილეობდა ცამეტი ხუმრეწველო საწარმოს თერთმეტი ათასზე მეტი მუშაკი, რაც ამ საწარმოებში დასაქმებულთა საერთო რიცხვის 41 პროცენტს აღემატება. გაფიცვები თბილისში, ბორჩა და ლანჩხუთის რაიონში ძირითადად დაკავშირებული იყო ხაშური ოსეთი მიმდინარე პროცესებთან. რაც შეეხება ქ. ტყიბულის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების გაფიცვებს, ისინი მოითხოვდნენ „ხაქვალნახშირის“ საკრთიანების ხაშურის ფილიალის ადმინისტრაციისგან ტყიბულში გადაყვანას. გაფიცვების შედეგად დაიკარგა ათასობით კაცდღე და 4,8 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობა.

ანვარში შექმნილი სიტუაცია, რა თქმა უნდა, ბარტო გაფიცვებით არ ამოიწურება. თავისი ქნა აზერბაიჯანის მხრიდან რკინიგზის ტრანსპორტის ბლოკადამ, ქვეყნის რეგიონებთან კავშირების მოშლამ და, რაც ალბათ, არანაკლებ მნიშვნელოვანია, შრომის და ნაწარმოებლო დისციპლინის მკვეთრმა შესუსტებამ. ხაქი იქამდე მივიდა, რომ ბარაბანწინ და ბარანინ მიღწეული დონე სანატრელი ეჩვენებდა. ოვითონ განსაჯეთ: ბარაბან ინვარში შექმნილ ნახევრად ნახელშეკრულებო ვალდებულებებით გათვალისწინებულში 24860 ათასი მანეთით, ხოლო წლეულს — 18293 ათასი მანეთით ნაკლები პროდუქცია. მიმდინარე წლის იანვარში ნახელმწიფო შეკვეთების შესრულებას და პირდაპირი კავშირით პროდუქციის მიწოდების ვალდებულებას თავი ვერ გაართვა 183 საწარმომ, ხოლო ბარაბან ამავე პერიოდში — 100-მა.

ხაკავშირო დაქვემდებარების საწარმოებიდან ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩნენ მანქანათმშენებლები. და ქიმიურ-ხატეკი კომპლექსები. მეტალურგიულ კომპლექსს უკან ეწევა ნეტტოფონის ფიროშენადნობი ქარხანა, თუმცა ეს მისი კოლექტივის ბრალი არ არის. როგორც უკვე ვიტყობინებოდით გაზეთი „კომუნისტის“ 6 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში, ზემოხსენებული საწარმო ელექტროენერგიის უქონლობის გამო შეფერხდა. ამიტომ მომხმარებელმა ვალუდ თვეში აქედან ნაკარაფდანზე 2051 ათასი მანეთით ნაკლები პროდუქცია მიიღო. ისევე, როგორც ბარაბანდელი წლის შედეგების მიხედვით, მიმდინარე წლის დამდეგიდანაც ხაკმაოდ დაფალიანებული არიან მომხმარებლის წინაშე „ბეათუორმანგანუმის“, „ხაქელექტრომანქანის“, „ხაქქვანახშირის“ საწარმოო გაერთიანებები. კვლავინდებურად ძნიშ ფდგომარეობა ხაქკარმრეწვის სისტემაში, კერძოდ, ხამტრედიის ჩაის კომბინატში, დრანდის ხაკოსნების ფაბრიკის ზამბარული ფეხსაცმლის ქარხნებში, ოზურგეთისა და ზუგდიდის ჩაისახაწონ ფაბრიკებში, ადგილობრივი მრეწველობის თეთრიწყაროს, ბარნეულის, ამბროლაურის ხარაოთმთაშორისო გაერთიანებებში. პროდუქციის სახელშეკრულებო ვალდებულებით მიწოდების მხრივ ჩვენი მრეწველობა ბარტო ბარაბანდელ შესახებამის პერიოდში კი არა, მთლიანად გასულ წელს მიღწეულ დონესაც ჩამორჩა.

ცხადია, პროდუქციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა მნიშვნელოვანწილად წარმოების მოცულობის კაკვირის შეცირებამ განაპირობა. 885 საწარმომ და გაერთიანებამ, ე. ი. მათი რაოდენობის თითქმის 89 პროცენტმა შეამცირა ეს მაჩვენებელი, რაც ნიშნავს, რომ ვერ დაბრუდდა 113,2 მილიონი მანეთის პროდუქცია. სახელმწიფო შეკვეთით გათვალისწინებული ამ 80 უმნიშვნელოვანესი სახეობის ნაწარმიდან, რომლებსაც ყოველკვირეულ აღრიცხვაში ითვალისწინებენ, პროგრამა ვერ შესრულდა 45-ის მიმართ.

**კარგია, რომ მოპოვებულია ნავარაუდევზე მეტი ნავთობი და გაზი, ბალშეფიულია ეგზეთი ვალისამრეწველო ნედლეულის ამოღებაში. ოვითონ ბაკოთ, ბალეფიულია ნაკლები ნავთობის ამოღებაში. ბალეფიულია ეგზეთი ბალეფიულ ნედლეულ ბალეფიულ ბალეფიულ ბალეფი

„რაჭა“: ქველმოქმედების პოზიციიდან

ქართული მთა და მთის სოფელი... ეს ახლა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემაა. მთის რეგიონებში ამ უკანასკნელ ხანს არაერთგზის დატრიალებულმა ტრაგედიამ ყველა შეძრა. მეწყერი და ზვავი მოეძალა აჭარის მთიანეთსა და სვანეთს, ლეჩხუმსა და რაჭას. ხალხი მამაპაპისეული მიწებიდან აიყარა, მთებიდან ბარში ჩამოინაცვლა; და თუ ადრე პირიქით იყო, თუ მტრისგან აწიოკებული ხალხი თავს ბარიდან მთას აფარებდა, ახლა სტიქია მთიდან ბარისკენ ერეკება მზის ფერდებამდე ხნულის გაჭრას შეჩვეულ მთის კაცს.

თუმცა მარტო სტიქიის შემოტევა არაფერ შუაშია. მთის სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია ისედაც კარგა ხნის დაწყებულია. სოფლები გიუკაცრიელდა, ბუნრები დაცივდა, ქვევრებშიც აბლაბუდა მომრავლდა. სალობიე სარის გამთლელიც აღარ დარჩა ლამის რაჭის სოფლებში. კოლმეურნეობები გაპარტახდა: საკუთარი არა გააჩნდათ რა, წლიდან წლამდე სახელმწიფოს მიერ ბოძებული სახსარით ირჩენდნენ და ინახავდნენ თავს. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში დანერგილმა ნაახლეებმაც ვერ უშველა საქმეს, რადგან თავად რაჭველმა კაცმა აიყარა გული სოფელზე, მიწა უპატრონოდ დარჩა, თუმცა მაინც-დამაინც არც მიწის პატრონობას ჰქონდა დიდი ფასი და გასავალი... ახლა მდგომარეობა უმჯობესდება. მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო და უკვე შეუდგნენ გლეხური მეურნეობების შექმნას, მიწა მისი პატრონის ნამდვილი საკუთრება ხდება...

მაგრამ მთის სოფლის პრობლემა მთელი საზოგადოებრიობის პრობლემაა, მისი აქტიური და დაინტერესებული მონაწილეობის გარეშე იგი ვერანაირი დეკრეტი-თ ვერ გადაწყდება. რეგიონის მწყავე პრობლემებისადმი სწორედ ამგვარი მიდგომის კარგი მაგალითია საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭის“ შექმნა, რომლის წესდებაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა ამას წინათ გაატარა რეგისტრაციაში. **რა მიზნებს ისახავს საზოგადოება, როგორია მისი ხასიათი?**

და საერთოდ: რა უნდა გაკეთდეს საქართველოს ამ ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის პრობლემების მოსაგვარებლად, მისი საუკეთესო ტრადიციების აღორძინებლად?

— ამ კითხვებზე უპასუხებს და საზოგადოების წინაშე მდგარ ამოცანებზე საუბრობს მისი გამგეობის თავმჯდომარე, თბილისის ქარხანა „ვაშლიჯვრის“ დირექტორი **ალკაზარ კაკიბაძე:**

— ჩვენი მიზანი და სატკივარი — ეს არა მარტო რაჭის, არამედ მთელი საქართველოს მაღალმთიანეთის პრობლემები, მისი დღევანდელობის ავ-კარგი და სამერმისო გზებია. ამიტომ, იმედია, კუთხურობაში არავინ ჩამოგვართმევს, თუ ჩვენს საზოგადოებას ასე ვუწოდეთ და მისი მთავარი გულისყური რაჭისაკენ მივმართეთ. პრობლემების თვალსაზ[illegible] აქ ბევრი რამ არის [illegible] დღეს საერთოდ [illegible] საქართველოს მაღალ[illegible] რაიონებს და მთელი [illegible] საზოგადოებრიობის [illegible] სატკივარია. იმედია, საერთო ალისმენელი შეძლებთ რაღაცის გაკეთებას ჩვენი კუთხისათვის, შეიძენთ გამოცდილებას, რომელიც შეიძლება შემდგომ სხვისთვისაც სასარგებლო და მისაღები იყოს.

„რაჭა“ საქველმოქმედო საზოგადოებაა, იგი თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებაზეა დამყარებული, როგორც ყველა ნებაყოფლობით მასობრივი საქველმოქმედო ორგანიზაცია. მოწოდება? უწინარეს ყოვლისა ის, რომ აქტიურად იღვაწოს საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის გამჩინაგებელი პროცესის — მიგრაციის შესაჩერებლად; ხელი შეუწყოს რაჭის მოსახლეობის ზრდის დაჩქარებასა და ადგილზე მათს დამკვიდრებას, აქაურობის ძალზე სპეციფიკური დემოგრაფიული პრობლემების ადგილზევე გადაწყვეტისთვის საერთო ძალისხმევას. საზოგადოების მოწოდებაა ისიც, რომ აქტიურად, საქმიანად იზრუნოს რაჭის ეკოლოგიური სიწმინდის დაცვის, წონასწორობის აღდგენისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლების რესტავრირება-მოვლისათვის. და კიდევ ერთი: ვეცდებით მჭიდრო კონტაქტი დავამყაროთ რესპუბლიკის გარეთ, უწინარეს ყოვლისა კი ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობასთან, სრული და მართებული ინფორმაცია მივაწოდოთ მათ ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელობაზე, ყოველმხრივ დავეხმაროთ ყველას, ვინც სამშობლოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამს. დღეს სულ ცოტა 15-20 ათასი ჩვენებური მაინც ცხოვრობს ჩრდილოეთ კავკასიაში, და თუ ისინი თავიანთ მშობლიურ მიწებზე დაბრუნების სურვილს გამოთქვამენ, ცხადია, პარტახის პირამდე მისული რაჭის სოფლებისათვის ამაზე დიდი სიკეთის მოტანა წარმოუდგენელია.

ეს უდიდესი, უკეთილშობილესი ეროვნული საქმე იქნება!

ალბათ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ საზოგადოებამ ძალა და ცდა არ დააკლოს ხალხური რეწვისა და ხელოსნობის მივიწყებული ან მივიწყებამდე მისული დარგების აღდგენა-აღორძინებას, რეგიონის ბუნებრივი რესურსების ფართოდ, მაგრამ ამავე დროს წინდახედულად და გონივრულად გამოყენებას, მოსახლეობის სული დასაქმებისა და სოფლების სოციალური განვითარების მწვავე პრობლემების გადაწყვეტას. ეფიქრობ, საჭიროების შემთხვევაში ყოველმხრივ უნდა შეეწყოთ ხელი რაჭის სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში საწარმოების, სახელოსნოების, კოოპერატივების, მოჯარეთა ორგანიზაციების შექმნას, მათ შორის საზოგარგარეთის ფირმების მონაწილეობითაც — სხვადასხვა ქვეყნის საქმიან წრეებში არაერთი ჩვენებური მოიძებნება, და არა მგონია, თუკი ხმას მივაწვდენთ, ამაგი არ დასდონ მშობლიური მხარის აღორძინების საქმეს. მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს საზღვარგარეთ მცხოვრებ და მოღვაწე ჩვენს თანამემამულეებს ფართოდ და გულთანადად გავუღეთ კარი, ძალიან ბევრი მათგან დიდი მადლიერების გრძნობითა და ხალისით მონაწილეობს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში.

ერთი სიტყვით, მიზნები გამოკვეთილია, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან და, რაც მთავარია, მოსახლეობასთან სათანადო კონტაქტებიც არის. იმედი გვაქვს, რომ ბევრი კარგი საქმის გაკეთებას შევძლებთ საზოგადოებრიობის აქტიური მხარდაჭერით.

— თუ შეიძლება კონკრეტულად, კი, სწორედ ამ კონტაქტებზე. საზოგადოების მხარდაჭერა...

— საზოგადოებრიობის აქტიური დაინტერესების ყველაზე კარგი ნიშანი თვით ჩვენი დამფუძნებელი ყრილობა გამოდგა. იგი შარშანდელი წლის 9 დეკემბრს გაიმართა პროფკავშირთა სასახლეში. ათასკაციანი დარბაზია, მოგეხსენებათ, და ერთგვარი შიშიც იყო, ვაითუ, ამდენი ხალხი არ მოვიდესო. თავდაპირველად შედარებით პატარა დარბაზში გვიხდოდა ყრილობის გამართვა, მაგრამ შემდეგ მტკიცედ გამოიკვეთა პოზიცია, — თუ ათასკაციან დარბაზს ვერ შევავსებდით, ხალხის მხარდაჭერა თუ არ იქნებოდა, მაშინ არც ღირდა ასეთი საზოგადოების ჩამოყალიბება. ჩვენდა საბედნიეროდ, ინტერესმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. დამფუძნებელი ყრილობის პირველსავე დღეს 1200-ზე მეტი განცხადება შემოვიდა ჩვენს საზოგადოებაში გაწევრიანების შესახებ. დღეს იგი თავის რიგებში ნომინალურად სულ ცოტა ოცი ათას კაცს აერთიანებს.

რაც შეეხება კონტაქტებს. ჯერ კიდევ არ დამთავრებულა საზოგადოების ორგანიზაციულად ჩამოყალიბების პროცესი, ბევრი საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტის პროცესშია, — საზოგადოების წევრებიც კი რესპუბლიკის მთავრობის აქტიური მხარდაჭერით, აგერ, ახლახანს დამტკიცდა. — მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონტაქტები ამბროლაურისა და ონის რაიონების ხელმძღვანელობასთან, იქაურ მოსახლეობასთან დღითი დღე სულ უფრო აქტიური ხდება. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა — საზოგადოება, უწინარეს ყოვლისა, იმისთვისაა მოწოდებული, რომ სწორედ ადგილობრივ მოსახლეობას ამოუდგეს მხარში, დაეხმაროს ცხოვრების უკეთ მოწყობაში, მეურნეობის რიგიანად გამართვაში. სხვათა შორის, ჩვენი კონტაქტებიც ამით დაიწყო.

ახლა რესპუბლიკის რამდენიმე რაიონში აქტიური შუაობა მიმდინარეობს გლეხური მეურნეობების მოსაწყობად. რა დასამლია, მთიანეთის პირობებში კოლმეურნეობამ არ გაამართლა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება თითქმის გაჩანაგდა. როგორც გვეუბნებიან, ადგილობრივი მოსახლეობა მოწონებით შეხვდა მთავრობის გადაწყვეტილებას გლეხური მეურნეობების შექმნის თაობაზე. ამბროლაურის რაიონში, მაგალითად, ძალზე კარგი შედეგია და რაიონის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ეს გამოაცოცხლებს სოფლებს, ფეხზე დააყენებს რაიონის სეროიზულად კოროზირებულ ეკონომიკას. რაც შეეხება ონის რაიონს, გვითხრეს, სოფლების 80 პროცენტი უკვე გადავიდაო გლეხურ მეურნეობებზე...

ამიტომაც გადაწყვიტეთ, თავად ავსულიყავით ღებსა და ჭიოიარში, გავსაუბრებოდით ხალხს, ადგილზე გაგვრკვია ყველაფერი. იანვრის შუა რიცხვებში ავეფდით კიდეც.

— ვინ და ვინ ბრძანდებოდით?

— ბატონი რევაზ ჯაფარიძე, ჩვენი ცნობილი მსახიობი ზურაბ ქაფიანიძე, მეცნიერი მუშაკი ლევან ფრუიძე და მე. ადგილზე სულ სხვა რამ გაირკვა: სოფლის მცხოვრებები საერთოდ არ არიან სანქმის კუთხეში. წარმოდგენაც არა აქვთ, რას ნიშნავს გლეხური მეურნეობა, რაშია მისი პლუსები და მინუსები. არადა, პირველ ეტაპზე ზოგან მართლაც იჩინა თავი ზოგიერთმა გაუგებრობამ. როცა ხალხს ყველაფერი დაწვრილებით ავუხსენით, მთელმა სოფელმა ერთხმად გადაწყვიტა გლეხურ მეურნეობაზე გადასულიყო. გადაწყვიტა და... „სათანადო“ რეაქციამაც არ დააყოვნა.

ამ ერთი კვირის წინ ჩვენს საზოგადოებაში 25-კაციანი დელეგაცია მოვიდა ღებიდან. სოფლიდან ჩვენი წამოსვლის მერე ღღესვე საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ასულა ღებში და ხალხის დაშინება დაუწყია, მეურნეობა თუ დაიშალა, სოფლიდან ტექნიკას წავიყვანთ, ჰენსიებსაც ვერ მიიღებთ, სოფელი დაიღუპებაო და ა. შ. იგივე განმეორებულა მეორე დღესაც, მაგრამ გლეხები მაინც თავის პოზიციაზე დარჩენილან. ეტყობა, მდგომარეობა რომ გაბნეულიყო, ღებელებს შეხვდა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი რევაზ ნოდარიშვილი და, რა თქმა უნდა, ხალხს გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი. ახლა ყველაფერი ისე გვარდება, როგორც სოფლისა და ხალხის ინტერესებს ესადაგება.

სხვათა შორის, რაჭაში წასვლამდე ჩაუბარი გვქონდა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ლუდვიგ ღუნწკაიასთან. ნათლად და გარკვევითაა გამოკვეთილი რესპუბლიკის ხელმძღვანელების პოზიცია გლეხურ მეურნეობებთან დაკავშირებით. ეს დღეს გადაუდებელ და საშურ საქმედაა მიჩნეული მაღალმთიანი რაიონების ეკონომიკაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამოსწორების, სოფლის მკვიდრთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზაზე. ყველამ კარგად იცის, რატომაც აპირებს ზოგიერთი ვაი-ხელმძღვანელი სოფლიდან ტექნიკის გაყვანას. მისი დიდი ნაწილი შემდეგ კერძო პირების ხელში მოხვდება და წურბელასავით სისხლს გამოსწოვენ ხალხს. ამიტომ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ყოველი ასეთი მოქმედება კანონის უხეში დარღვევაა და ყოველნაირად წინ უნდა აღუდგნენ ადგილობრივ მესვეურთა ასეთ აშკარა თვითნებობას.

ასეთი პრობლემები ყველგან მრავლადაა. რა თქმა უნდა, აბრამრის „როლში“ არც გამოვდიგართ და ვერც ვიკისრებთ ასეთ მისიას, მაგრამ ხელი რომ შევუწყოთ მსგავსი სასოხუნების დროულ მოგვარება-გადაჭრას, ეს კი ნამდვილად უნდა შეიძლოს საზოგადოებამ.

— ამჟამად რა საკითხებზე მუშაობს საზოგადოება? ალბათ, გამოიკვეთა პრობლემების წრე, რომელთა გადაჭრასაც დღეს პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, ყველაფერი ერთბაშად ვერ მოგვარდება.

— ახლა წლის გეგმების ფორმირების პერიოდია. ტრადიციისამებრ, რაიონების ხელმძღვანელები მეტ წილ დროს, ალბათ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, ფინანსთა სამინისტროში, სხვა სადირექტივო ორგანოებში უნდა ატარებდნენ. ჩვენი საზოგადოება თავისი აქტივის მეშვეობით ცდილობს იკისროს ამ მომქანცველი და რთული სამუშაოს ერთი ნაწილი მაინც, რომ რაიონების ხელმძღვანელებს საშუალება ჰქონდეთ არ მოსწყდნენ თავიანთ სამუშაო ადგილს, მეტად მოიცალონ არსებული პრობლემების ადგილზე გადაწყვეტისათვის.

რა დასამლია, რომ ეკონომიკის უკიდურესი დაქვითვის გამო ჩვენ ვერ ვეღებ ლეგალურ ფულს ბანკებიდან. ამიტომ ყველამ უნდა იცოდეს, რომ „ყოველი“

დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

(დასასრული)

ტივის „ბალავრის“ თავმჯდომარე **არჩილ ვახტანგის ძე ფავლენიშვილი** — საქართველოს არქიტექტურულ-საპროექტო და სამშენებლო კოოპერატივების ასოციაციისაგან.

სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **მანანა კალიხტარაძე ასული კობახიძე** — გარდაბნის რაიონის კოჯრის № 4 საბავშვო სახლის შრომითი კოლექტივისაგან.

გორის ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი **გედეონ გიორგის ძე ხელაია** — საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებისაგან.

ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ მთავარი რედაქტორი **ჯანგირ ალექსანდრეს ძე მამალაძე** — საქართველოს გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდისაგან.

თბილისის სართავი ფაბრიკის მრთველი **დარეჯან დავითის ასული ქინტაური** — თბილისის ლენინის რაიონის ქალთა საბჭოსაგან.

თბილისის ტყის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის განყოფილების გამგე **ლევან ნიკოლოზის ძე პეტროსიანი** — საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციისაგან.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ნაკრძალებისა და სამონადირეო საქმის მთავარი სამმართველოს უფროსი **რამაზ მიხეილის ძე შიშნიაშვილი** — ამ სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოს უფროსი **ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ჭიჭია** — ამ სამინისტროს თბილისის სტუდქალაქის სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **იური შალვას ძე კალაჩიუკი** — საქართველოს სახალხო ფრონტისა და ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი **გიორგი სიმონის ძე გაჩეჩილაძე** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ხვიჩავარ ოსიფის ძე არჩემაშვილი** — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

„საქსახმიწპროექტის“ ინსტიტუტის პროექტის მთავარი ინჟინერი **ნემო პიერის ძე ბურჭულაძე** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე **ზურაბ გალაქტიონის ძე ყაჟეიშვილი** — ამ ინსტიტუტის პროფესორთა და მასწავლებელთა სამშენებლო კოოპერატივის „მედიკოსი-598“ შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს დოსაფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვლადიმერ გორგის ძე გუდაძე** — თბილისის გლდანის რაიონის დოსაფის კომიტეტისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების გამგე **ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ინასარიძე** — ამ ინსტიტუტის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის № 11 სახელმწიფო სანატორო კანტორის სახელმწიფო ნოტარიუსი **ლევან ვასილის ძე კობრიძე** — ამ კანტორის კოლექტივისაგან.

თბილისის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტის მმართველი **რევაზ ლევანის ძე ბოგორიშვილი** — ამ ტრესტის № 2 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ვლასი ბადრის ძე შუბლაძე** — თბილისის საბურთალოს რაიონის კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **ოთარ ლეონტის ძე გიორგობიანი** — საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებისაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის № 87 კათედრის ინჟინერი **მამუკა მაჩიას ძე ხაზარაძე** — თბილისის საბურთალოს რაიონის კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი **ავთანდილ ნოდარის ძე ხილაგაძე** — საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებისაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი **ელენე ალექსანდრეს ასული კალანდაძე** — საქართველოს არქიტექტურულ-საპროექტო და სამშენებლო კოოპერატივების ასოციაციისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკრომოლეკულების ფიზიკის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **გიორგი ნიკოლოზის ძე ლაპაიშვილი** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ვლასი ბადრის ძე შუბლაძე** — თბილისის საბურთალოს რაიონის კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მეცნიერ-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგე **გიორგი ანტონის ძე სოფაძე** — მაიაკოვსკის რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოსაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი **თენგიზ დავითის ძე ცინცაძე** — საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირისაგან.

საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის განყოფილების უფროსის მოადგილე **ჯონდო ალექსის ძე ტაბატაძე** — თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის დოსაფის კომიტეტისაგან.

თბილისის „საქსახლსოფლტექნიკის“ საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური და საპროექტო ინსტიტუტის საკონსტრუქტორო ნამუშევართა განყოფილების უფროსი **ალეკო ნიკოლოზის ძე ნიფარაძე** — თბილისის №185 საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **გივი ალექსანდრეს ძე ხანაძე** — საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტთან არსებული საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციისაგან.

სოფლის მეურნეობაში ქიმიური საშუალებათა გამოყენების მექანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი საპრობლემო ცენტრის დირექტორი **გიორგი ეტატის ძე წერეთელი** — ამ ცენტრის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარგამტარების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი საბრობლემო ლაბორატორიის გამგე **შოთა მირიანის ძე მირიანაშვილი** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

„საქქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის მთავარი არქიტექტორი **ლერი პაპლეს ძე გოშაძე** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

თბილისის დოსააფის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე **ნინელი (გივი) ოლიფანტეს ძე გაგუა** — თბილისის ომისა და შრომის ვეტერანთა საქალაქო საბჭოსაგან.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიური ქირურგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **რამაზ მიხეილის ძე შენგელია** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

თბილისის გლდანის რაიონის საგზაო-საექსპლოატაციო უბნის სამუშაოთა მწარმოებელი **დავით შალვას ძე შეყელაძე** — ამ უბნის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის განყოფილების გამგე **კონსტანტინე ნიკოლოზის ძე კოსტანაშვილი** — საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებისაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის № 87 კათედრის ინჟინერი **მამუკა მაჩიას ძე ხაზარაძე** — თბილისის საბურთალოს რაიონის კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი **ავთანდილ ნოდარის ძე ხილაგაძე** — საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებისაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი **ელენე ალექსანდრეს ასული კალანდაძე** — საქართველოს არქიტექტურულ-საპროექტო და სამშენებლო კოოპერატივების ასოციაციისაგან.

ბ. ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის სწავლული მდივანი **გიორგი ანტონის ძე სოფაძე** — მაიაკოვსკის რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოსაგან.

მაიაკოვსკის რაიონული სტამბის ასოთამწყობი **დარეჯან ავთანდილის ასული ხიზანიშვილი** — სტამბის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თბომომარაგებისა და ვენტილაციის კათედრის პროფესორი **რევაზ კონსტანტინეს ძე ხუნწარია** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის განყოფილების გამგე **ემილ დავითის ძე კოტლოვსკი**, ინჟინერ-ეკონომისტი **ოთარ ლეონტის ძე გიორგობიანი** — საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებისაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის № 87 კათედრის ინჟინერი **ბესიკ ალექსანდრეს ძე ბაბალაძე** — ამ სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის № 7 კლინიკური საავადმყოფოს ექიმი **დავით თენგიზის ძე გზირიშვილი** — თბილისის საბურთალოს რაიონის კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

თბილისის მდივან-შემანქანეთა და სტენოგრაფისტთა სასწავლებლის დირექტორი **რევაზ შალვას ძე ურუშაძე** — სასწავლებლის შრომითი კოლექტივისაგან.

ქალაქ თბილისის მთავარი მხატვარი **ოთარ ანტონის ძე ლიონიშვილი** — საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელისაგან“.

თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი **ზურაბ ამირანის ძე გვაზავა** — გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი **ნუგზარ ნიკოლოზის ძე ჯაიანაძე** — საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებისაგან..

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი **თენგიზ დავითის ძე ცინცაძე** — საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებათა კავშირისაგან.

საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის განყოფილების უფროსის მოადგილე **ჯონდო ალექსის ძე ტაბატაძე** — თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის დოსაფის კომიტეტისაგან.

თბილისის „საქსახლსოფლტექნიკის“ საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური და საპროექტო ინსტიტუტის საკონსტრუქტორო ნამუშევართა განყოფილების უფროსი **ალეკო ნიკოლოზის ძე ნიფარაძე** — თბილისის №185 საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **გივი ალექსანდრეს ძე ხანაძე** — საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურ კომიტეტთან არსებული საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციისაგან.

